KA021748240460615

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/1812

14 / იანვარი / 2015 წ.

შპს „მთაწმინდა 2006"

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში" შემოსულ თქვენს 06.01.2015წ. №464/ფ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, პეტრიაშვილის ქ. N46-ში მდებარე შპს „მთაწმინდა 2006"-ის საკუთრებაში არსებულ 1659.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.02.053.001) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მიწის ნაკვეთის სიახლოვეს გამავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ნაგებობიწ (კანალიზაციის მილის) ს/კ N01.01.775 გამო თანხმობის გაცემას, განმეორებით გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში მითითებული კანალიზაციის მილის ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ N01.01.775) არ გადის ქ. თბილისში, პეტრიაშვილის ქ. N46-ში მდებარე შპს „მთაწმინდა 2006"-ის საკუთრებაში არსებულ 1659.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.15.02.053.001) სიახლოვეს, რაც გეცნობათ სააგენტოს 26.12.2014წ. N5/51021 წერილით რომელზედაც თანდართული იყო მიმდებარე ტერიტორიის ორთო-ფოტო.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

დიმიტრი ქუმსიშვილი

01-02/5782
31 12 2014

კავკასუს ონლაინი

შპს „მთაწმინდა 2006"_ის დირექტორს

ზატონ შოთა საგანელიძეს

ზატონო შოთა,

თქვენი წერილის (23.12.2014) პასუხად გაცნობებთ მითითებულ ტერიტორიაზე, შპს „კავკასუს ონლაინის" კომუნიკაცია არ გადის.

პარივისცემით,

ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი
მამუკა ქავთარაძე

30.12.2014

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

TELASI 1 14 00087272

30/12/2014

შპს „მთაწმინდა 2006“-ის დირექტორს
ბ-ნ შოთა საგანელიძეს
მის. ალექსიძის #1

თქვენი 25.12.2014 წლის #85554 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე პერტიაშვილის ქ#46 თქვენი ნაკვეთის (ს.კ. 01.15.02.053.001) მიმდებარედ, გადის სს „თელასის“ კუთვნილი 6-10კვ–იანი საკაბელო ხაზი.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება #100 უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას (7.10.2010 #53) მუხლი 2. პუნქტი 27 თანახმად, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზების დაცვის ზონად დგინდება:

მიწის ნაკვეთი მიწისქვეშა საკაბელო ხაზის გასწვრივ, რომელიც შემოსაზღვრულია განაპირა კაბელებიდან ხაზის ორივე მხარეს ელექტროგადამცემი საკაბელო ხაზებისათვის 1 მეტრით, ხოლო კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზებისათვის 2 მეტრი მანძილით დაშორებული ვერტიკალური სიბრტყეებით.

სს „თელასის“ ტექნიკური
დირექტორი

ვ. ქინქლაძე

შემსრულებელი: შრომის დაცვის და სამოქალაქო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი
ტელ: 2779959

ზ. ჩიღლაძე

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел. +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

ახსნაგანმარტებითი ბარათი

ქ. თბილისი პეტრიაშვილის ქუჩა #46-ში 2006-წელს გეოლოგიური კვლევისათვის შესრულებული ტოპოგრაფიული გეგმა 1:200-იან მასშტაბში შედგენილია იმ დროს მოქმედი ბალტიის ზღვის სიმაღლეთა სისტემაში, ხოლო შპს "გეოიდი"-ს მიერ 2014 წელს შესრულებული ტოპოგრაფიული გეგმა შედგენილია დღეისაათვის მოქმედ (კორსის სისტემა) სიმაღლეთა სისტემაში, რის გამოც ძველ და ახალ ტოპოგრაფიულ გეგმებზე ნიშნულებს შორის არის 16 მეტრიანი სხვაობა.

შპს "გეოიდი"-ს დირექტორი /თ. მამულაშვილი/